პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით

ორშაბათი, 15 აპრილი 1924 წ.

წელიწადი მეოთხე

ფასი 5 კაპ. ჩერ.

# წითელი არმიელი

№ 476 ქ. მ. დ. პოლიტ-განყოფილების ყოველდღ. გაზეთი

რედაქც. მის. ტფ., რუსთ. პროს. ქართ. დივ. შტაბი ქალ. ელს № 1—40
განცხადების ფასი პირველ გვერდზე 40 კაპ.—მეოთხეზე 20 კაპ. ჩერვო ნეც' ნომპარელის სტრიქონი სამგლოვიარო განცხადება 3 მან. ჩერვ. განცხადებები მორიგ ნომერში მიიღება მხოლო 1 საათამდე

## საქართველოს ახალგაზრდათა კომკავშირს.

ძვირფასო ამხანაგებო და ახალგაზრდა მეგობრებო!

მე დიდის სიხარულით გამოვიდოდი ტფილისის ახალგაზრდათა კომკავშირის კრებაზე, რომ ამისათვის მქონოდა მცირედი საშუალება. მაგრამ მე საჩქაროდ უნდა დავბრუნდე მოსკოვში, ვინაიდან ავადმყოფობის გამო მე დიდხანს დავრჩი აქტიური მუშაობის გარეშე.

ამოცანები, რომლებიც ჩვენ გვეკისრება, მეტად განუსაზღვრელია: ჩვენმა თაობამ დაიწყო კომუნისტური რევოლიუციის საქმე, თქვენი თაობა დაასრულებს მას. კომუნისტური რევოლიუცია არის ხანგრძლივი პროცესი. გაივლიან კიდევ წლები, და შეიძლება ათეული წლები სასტიკი ბრძოლისა. საჭიროა ამ ბრძოლისათვის მზადება. ეცადეთ გამოიყენოთ ყოველი თავისუფალი წუთი, აღჭურვეთ თქვენი გონება აუცილებელ საჭირო ცოდნით, გამოაწვრთეთ თქვენი ბუნება მუშათა კლასითვის და მისი ხელმძღვანელის—კომპარტიისათვის უსაზღვრო თავდადებით. ისწავლეთ ისტორია რევოლიუციონურ ბრძოლისა. გულმოდგინეთ იმუშავეთ ლენინის თხზულებაში. ნუ ეცდებით იმავე დროს ყველაფრის ერთბაშად შეთვისებას: უმჯობესია წაიკითხოდ ერთი წიგნი მაგრამ ყურადღებით, გულმოდგინედ, კრიტიკულად, რათა შეითვისოდ მისი შინაარსი სავსებით და მთლიანად. და ამ მხრივ მისდიეთ ლენინის დარიგებას: „**უმჯობესია ცოტა და კარგი**".

ჭეშმარიტი კომუნარი არაფერს არ იღებს ადვილად და დაჯერებით, არამედ ყველაფერს სინჯავს, კრიტიკულად ამუშავებს, ხოლო შემდეგ კი ისისხლხორცებს ძირითად დასკვნებს.

[illegible] მუშაობის მზადებაში, რომელიც თქვენ მოგელით.

კომუნისტური სალამით
თქვენი **ლ. ტროცკი.**

ტფილისი 12 აპრილი.
1924 წელი.

---

## კომუნისტების მობილიზაცია წითელ-ჯარში.

1901 წელში დაბადებულთა დემობილიზაცია ნახევარზედ მეტი ჩატარებულია და უახლოვდება დასასრულს.

ამასთანავე ერთად ახლოვდება დრო, როდესაც ჩვენი ჯარის რიგებში უვადო შვებულებაში წასულთა მაგიერ, გაეშურება 1902 წელში დაბადებული მშრომელი ახალგაზრდობა. ეს გარემოება გვავალებს ჩვენ დროზედ მივიღოთ საჭირო ზომები, რათა ახალ წვეულებს წითელი ყაზარმა სათანადოთ მომზადებული დახვდეს. საბჭოთა რესპუბლიკების საერთაშორისო და შინაური მდგომარეობა, მათი კეთილდღეობის ინტერესები მოითხოვენ გვყავდეს ძლიერი წითელი არმია.

ჩვენ გვჭირია სათანადო სამხედრო ცოდნით აღჭურვილი, პოლიტიკურად შეგნებული, მტკიცე რევოლიუციონური სულისკვეთებით აღსავსე წითელი ჯარი.

თუმცა იმპერიალისტური ქვეყნები დღეს-დღეობით ჩვენთან მეზობლური მშვიდობიანური ენით ლაპარაკობენ, მაგრამ მილიტარიზმის ზრდა ევროპაში, ხშირი კონფლიქტები იმპერიალისტურ ქვეყნებთა შორის და ფაშიზმის გაძლიერება—ყველაფერი ეს ნათლად გვიკარნახებს რომ საფრთხე არსებობს და ჩვენ ყოველთვის უნდა მზად ვიყოთ საბჭოთა ტერიტორიის საზღვრების დასაცავად.

აი რატომ გვჭირია ჩვენ რევოლიუციონური წითელი არმია.

ამ მიზანს ჩვენ მივაღწევთ იმ შემთხვევაში, თუ სათანადო პირობებს შევქმნით ამისათვის; თუ გვეყოლება წითელი სამხედრო სპეცები, თუ ჩვენი წითელი ყაზარმა სათანადო პოლიტიკურ და კულტურულ განათლებას მისცემს ახალ-წვეულებს. ჩვენ ჯარს უკვე ყავს წითელ კომანდირთა კადრი, რომელთა რიცხვი მომავალში კიდევ გაიზრდება. მათი დახმარებით ახალ წვეულნი ჯეროვან სამხედრო გაწვრთნას მიიღებენ. მაგრამ მარტო სამხედრო ცოდნა არ არის საკმარისი. წითელი არმია მით განირჩევა იმპერიალისტურ არმიებისაგან, რომ ის აქტიური წევრია მუშურ-გლეხური სახელმწიფოს აღმშენებლობისა და განმტკიცების საქმეში, რომ მას კარგად აქვს შეგნებული თავისი მოქალაქეობრივი მოვალეობანი სოციალისტური რევოლიუციის და საბჭოთა ხელისუფლების წინაშე.

წითელმა ყაზარმამ პოლიტიკურად უნდა აღზარდოს ახალ წვეული, გამოიყვანოს მისგან შეგნებული, რევოლიუციონერი—მეომარი, რომელიც უკანასკნელი სისხლის წვეთამდე დაიცავს მუშურ-გლეხურ სახელმწიფოს.

ეს ამოცანა კი უნდა შეასრულოს კომპარტიამ. წითელი ჯარის სიძლიერე, მისი უძლეველობა დამყარებულია კომუნისტ. პარტიაზე, რომელიც მის ხერხემალს და ფუძეს წარმოადგენს.

ამიტომ საქართველოს კომპარტიის ცეკას დადგენილებით წითელი ჯარის რიგებში გაწვეული არიან კომპარტიის წევრები და კანდიდატები 1902 დაბადებულნი.

მათი მობილიზაცია უკვე დაიწყო, რომელიც უნდა დამთავრდეს 20 აპრილამდე.

ჩვენს მიზანს შეადგენს, რომ ეს მობილიზაცია პარტიული ამხანაგებისა, რაც შეიძლება მეტის ნაყოფიერებით ჩატარდეს დანიშნულ ვადამდე.

ამას ხელი უნდა შეუწყონ თვით ჯარში მიმავალ პარტმუშაკებმა.

მათ უნდა იცოდენ ის ჭეშმარიტება რომ, რაც მეტი მათგან მოვა წითელი ჯარის რიგებში, მით უფრო ძლიერი და შეუდრეკელი იქნება ქართული წითელი ჯარი, მით უფრო მტკიცე და საიმედო დარაჯი ეყოლება საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკას.

არც ერთი 1902 წელში დაბადებული კომუნისტი არ უნდა დარჩეს წითელი ჯარის გარეშე!

ამას მოითხოვს მშრომელთა ხალხის ინტერესები და საბჭოთა კავშირის კეთილ დღეობა.

---

# რადიო-დეპეშები

— **საბერძნეთის რესპუბლიკის პრეზიდენტად დროებით არჩეულია ადმირალი კონდურიოტის.**

— **გრძელდება ასოთ-ამწყობთა გაფიცვები მიუნხენში, ბრესლავლში, ერფურტში, გალლეში, გერლიცაში და ვიზენახში.**

**გაზეთები აღარ გამოდის. მოითხოვენ ჯამაგირების გადიდებას.**

— **საფრანგეთის, იტალიის, ინგლისის და გერმანიის მეზღვაურებმა ინტერნაციონალურ კლუბის ყრილობაზე გამოიტანეს საპროტესტო რეზოლიუციები პუანკარეს წინაალმდეგ საბჭოთა კავშირის შინაურ ცხოვრებაში ჩარევისათვის.**

## ჩვენ და ისინი

### ლონდონის კონფერენცია.
#### ინგლისის დელეგაციის შემადგენლობა.

ინგლისის დელეგაციის შემადგენლობა ლონდონის კონფერენციაზე შემდეგია: თავმჯდომარე—მაკდონალდი, თავმჯდომარის თანაშემწე პანსონბი, წევრები: საგარეო საქმეთა სამინისტროს უფროსი მრჩეველი უელსი, საგარეო საქმეთა რუსული დეპარტამენტის უფროსი—გრეგორი მდივანთაგანი—ომალი, ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენელი—ფილიპსი, მანჩესტერის უნივერსიტეტის პოლიტ-ეკონომიის ყოფილი პროფესორი და სავაჭრო სამინისტროს ყოფილი მდივანი 1919 წელში—ჩაპმანი, 1919 წლის სამშვიდობო კონფერენციის ეკონომიური დელეგაციის წევრები და სავაჭრო მინისტრის ამხანაგი—ფეუნზენი, ყოფილი გენუის დელეგაციის წევრი და ინდოეთის „სანამესტნიკოს" საბჭოს წევრი—კლარკი. ექსპერტები: საგარეო საქმეთა სამინისტროს იურისკონსულტი, ინგლისის წარმომადგენელი სხვა და სხვა კონფერენციებზე—ხერტი და კომერციული ში—პიტერსი.

ფიქრობენ, რომ 14 აპრილს სხდომაზე ილაპარაკებენ მაკდონალდი და რაკოვსკი. შემდეგ საბჭოთა დელეგაციის წევრები, სრულუფლებიანი წარმომადგენელი, მისი მოადგილე და საელჩოს პირველი მდივანი მოწვეულ იქნებიან მაკდონალდის მიერ საგარეო საქმეთა სამინისტროში.

### იაპონია-რუმინეთის საკავშირო მოლაპარაკება.

„კელნიშე ცეიტუნგის" ცნობით, იაპონიამ და რუმინეთმა ხელი მოაწერეს საკავშირო მოლაპარაკებას იმ შემთხვევისათვის თუ სამხედრო გამოსვლები მოხდება საბჭოთა—კავშირის წინაალმდეგ.

### საფრანგეთი და საბჭოთა კავშირი.
#### საზარალოთა ცნობის დაგვიანება.

საბჭოთა პრესის კორესპონდენტთან, რაპპოპორტთან საუბარში, დემონზეიმ განაცხადა, რომ პუანკარეს განცხადებაში სენატში გამოსჭვივის შემრიგებლობითი ხასიათის ნიშნებასთან ბრძოლისა, არამედ მუშაობის უფრო მიზანშეწონილი გეგმის გამომუშავება, ჩაბმა ახალი, ცოცხალი ძალების და სახსრების გამოძებნა, რათა დაიბადოს შესაძლებლობა გაფართოებულ იქნას მუშაობა სათანადო მაშტაბით.

მთავარი ყურადღება უნდა მიაქციოს თათბირმა მუშაობის დაყენებას სოფელში, განსაკუთრებით ეროვნულ უმცრესობათა შორის, სადაც უცოდინართა რაოდენობა განსაკუთრებით დიდია. საზოგადოების მუშაობის პირველ წელს გახსნილ იქნა სალიკვიდაციო პუნქტები განზრახულ რაოდენობასთან შეფარდებით 70 პროც. მაგრამ მომსვლელთა რიცხვის შესუსტების გამო მუშაობა შემცირდა 60 პროცენტამდე. ამიტომ მორიგ ამოცანას ამ ჟამად შეადგენს დატვირთვა უკვე არსებულ სალიკვიდაციო პუნქტებისა. მეორე მწვავე საკითხი არის მასწავლებლების საკითხი, ვინაიდან 50 პროც. არ ყოფნის; შემდეგ სახსარის საკითხი, რისთვისაც საჭიროა მიზიდულ იქნას მოსახლეობის შეძლებული ნაწილი და ფართე მშრომელთა მასები. მაგრამ თათბირის უმთავრესი ამოცანაა — დააინტერესოს ფართე მასები. თუ მოახერხა ამ ძირითადი ამოცანის გადაჭრა, იმ შემთხვევაში შეიძლება ვუწინასწარმეტყველოდ საზოგადოებას დიდი გამარჯვება ამ საქმეში.

---

## პრესა

### „საბჭოთა საზოგადოებრიობის ერთი უმთავრეს საჭყისთაგანი."

ამ სათაურით „იზვესტიაში მოთავსებულია წერილი, რომელიც ეხება „ძირს წერა—კითხვის უცოდინარობა"—საზოგადოების სრულიად რუსეთის 1-ლ თათბირს. წერილში აღნიშნულია, რომ თათბირის ამოცანას წარმოადგენს არა ახალი გამორკვევა პოლიტიკური და სამეურნეო მნიშვნელობისა უცოდინარო-

ბი, რომლითაც შეუძლია და უნდა ისარგებლოს საბჭოთა დიპლომატიამ.

**რუსეთ ჩინეთის კონფლიქტი**

**მთავრობა სცდილობს თავის მართლებას.**

საგარეო საქმეთა სამინისტრო საფრანგეთის ელჩისადმი მიმართულ ნოტაში უარყოფს საფრანგეთის და რუსეთ-აზიის ბანკის უფლებას ჩაერიონ აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზის საქმეში.

ნოტა წარმოადგენს მთავრობის ცდას მოიხსნას საფრანგეთის გავლენის ქვეშ ყოფნის ბრალდება, ვინაიდან ჩინეთის საზოგადოებრივი აზრი აღშფოთებულია საფრანგეთის ჩარევით აღმოსავლეთ—ჩინეთის რკინის გზის საქმეში.

**„დიპლომატიური“ ავადმყოფობა.**

პრესა იუწყება, რომ პრემიერი სუნ-პაო-ჩი შეუდგა მუშაობას მოგონებულ ავადმყოფობის შემდეგ. საგარეო საქმეთა მინისტრი ველინგტონი-კუ ვითომდა კიდევ ავათ არის.

**ვენის კონფერენციის ჩაშლის გარშემო.**

**პროტესტი აშკარა ხდება.**

ოფიციალურ დღეობებზე ბესარაბიის შეერთების შესახებ კიშინევში მოხდა მთავრობის მიერ გლეხთა პარტიის დემონსტრაციები. გლეხთა პარტიის დელეგატმა იაკუბესკუმ განაცხადა მიტინგზე, რომ, თუმცა ბესარაბია ეკუთვნის რუმინეთს, მაგრამ პასუხის მგებლობა ვენის კონფერენციის ჩაშლაში თავს აწვება რუმინეთის მთავრობას, რომელმაც გაგზავნა უვარგისი დელეგატები.

გლეხთა პარტიის ყრილობაზე ქა- [illegible] კად აკრიტიკებდენ მთავრობის, ტერორს ბესარაბიაში. პროვოკატორებმა, რომლებიც იყვნენ გლეხურ ტანისამოსში გადაცმულები, ჩაშალეს ყრილობა და გლეხთა პარტიის ლიდერები იძულებული შეიქნენ გაქცეულიყვნენ.

**სწორი შეხედულება.**

რუმინეთის გლეხთა პარტიის ბელადები—მადჟაარუ და სტერე ურყოფენ რუმინეთის მთავრობის მტკიცებას, თითქოს საბჭოთა მთავრობა ეყრდნობოდეს მეფის მთავრობის იმპერიალიზმს. საბჭოთა კავშირი თვითონ იცავდა თავს იმპერიალისტური თავდასხმებისაგან და მას არ სურს ბრძოლა.

დასასრულ იმათ აღნიშნეს, რომ ბესარაბიის საკითხი რუმინეთისთვის შინაურ საქმეს წარმოადგენს: ერთად ერთი შესაძლებლობა საკითხის გადაჭრისა მდგომარეობს ბესარაბიაში სამხედრო რეჟიმის შეცვლასა და პოლიტიკურ და ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესების საქმეში.

**რუსეთ-შვეციის საფოსტო კავშირი.**

ამ დღეებში მოსკოვში გამოემგზავრებიან შვეციის ფოსტის და საფოსტო დეპარტამენტის დირექტორები იულინი და ლაგერი სსრკ—სა და შვეციას შორის საფოსტო კავშირის სრულიად აღსადგენად.

**საბჭოთა გემი ჰოლანდიაში.**

საბჭოთა გემი „პროლეტარი“, რომელიც ჩავიდა ანტვერპენში განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს. მოსახლეობა წინააღმდეგია გემის კომისარის განკარგულებისა, რომლის ძალითაც გემის ეკიპაჟს ეკრძალება ნაპირზე გადასვლა.

## საბჭოთა კავშირი.

**ამხ. კამენევი კოოპერაციის შესახებ,**

მოსკოვის მომხმარებელთა საზოგადოების საბჭოს რწმუნებულების კრებაზე ამხ. კამენევმა მოხსენებაში კოოპერაციის მნიშვნელობისა და როლის შესახებ, აღნიშნა, რომ მთელი აზრი იმ პერიოდისა, რომელსაც ჩვენ განვიცდით, მდგომარეობს ბრძოლაში კერძო კაპიტალისა და კოოპერატიულ ორგანიზაციებს შორის. არის მოვლენათა მთელი რიგი, რომლებიც გვიჩვენებენ რომ კერძო კაპიტალის პოზიცია ძლიერდება, ხოლო მის მიერ დამუშავებული პროდუქტები იზრდება:

საჭიროა დაუპირისპიროდ კერძო კაპიტალის ორგანიზაციებს საკმაოდ ძლიერი, ფართე მასების სახმარებლად საკოოპერაციო ქსელის ორგანიზაცია.

ამ ამოცანების განსახორციელებლად საჭიროა გადასვლა ნებაყოფლობითი წევრობაზე და მოწყობილ იქნას ქვე-კოოპერატივები, რომელიც შეიცავს საქმის უმთავრეს სულს. ყველა კრედიტები, რომლებიც დღემდის ეძლეოდა წევროებს, დღეს უნდა მიეცეს განსაკუთრებით ქვემო-კოოპერაციას. კოოპერაციამ უნდა მოახდინოს სერიოზული რეორგანიზაცია მთელი თავის მუშაობაში საჭიროა მტკიცედ დაყენება საკითხისა ფასებში.

## სავალდებულო დადგენილება

## № 61.

14 აპრილი 1924 წელი.

საქონლის ფასების მოწესრიგების შესახებ უმაღლეს სახელმწიფო ორგანიზაციის დადგენილებათა [illegible] გატარების მიზნით ტფილისის აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

1) შექმნილ იქმნას მასთან განსაკუთრებული კომისია, რომელსაც მიენდოს ქ. ტფილისში საქონლის ფასების მოწესრიგების შესახებ უმაღლეს ეკონომიურ საბჭოსა, ა. კ. ს. ს. ფ. რ. შინა ვაჭრობის მომწესრიგებელ კომისარიატისა და სხვა სახელმწიფო მაღალ ორგანოთა ყველა დადგენილებების სწორი ასრულებისათვის სასტიკი თვალყურის დევნა და პასუხის გებაში მიცემა იმ პირთა და დაწესებულებათა, რომელნიც ამ დადგენილებებს დაარღვევენ.

2) დაევალოს ყველა, როგორც კერძო აგრეთვე კოოპერატიულ და სახელმწიფო სავაჭრო წარმოებათა პატრონებს—გამოსაჩენ ადგილას დაჰკიდონ ფასების ცხრილი ყველა იმ საქონელზე, რომელნიც ცალობრივ ვაჭრობაში ხვდება.

3) დაევალოს მ/გ მილიციას ყოველნაირი დახმარება გაუწიოს კომისიის წევრებს და მათ რწმუნებულებს ფასების მოწესრიგების დარგში ცალკე განკარგულებათა და დადგენილებათა ასასრულებლათ.

4) ფასების მოწესრიგების დარგში სავალდებულო დადგენილებათა დამრღვევნი პირნი ფასების დამწევ განსაკუთრებულ კომისიის დადგენილებით, დაპატიმრებულნი იქნებიან 2-თვემდე ან დაჯარიმებული 15 ჩერვონცამდე.

თბილისის საბჭოს თავმჯდომარე **ლ. სუხიშვილი.**

მდივანი: **თიკანაძე.**

## სავალდებულო დადგენილება

## № 62.

## 14 აპრილი 1924 წ.

თბილისის მუშათა, გლეხთა და წითელ არმიელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტისა:

ა. კ. ს. ს. რ. ფ. ვაჭრობის მომწესრიგებელ კომისარიატის ა/წ. 12 აპრილის დადგენილების თანახმად თბილისის აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

1. მაგარ ვალიუტაზე გადასვლისა და ბონების დაცემის გამო დაზღვევითი მომატების უმიზნობის გამო 1924 წლ. 15 აპრილიდან ქ. თბილისში შემოღებულ იქნას უმაღლესი ცალობრივი ფასები შემდეგ საგნებზე:

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 1) პური | 1 ხარ. | 1 გირ. | | 8 კაპ. |
| „ | 2 „ | 1 „ | | 6 კაპ. |
| „ | 3 „ | 1 „ | | 5 კაპ. |
| 2) შაქარი | რაფინადი | 1 „ | | 35 კაპ. |
| „ | ფხვნილი | 1 „ | | 28 კაპ. |
| 3) მარილი | ყულფის | 1 „ | 2 კ. (ფუთ. ცალ. 76 კ.) | |
| „ | ნახიჩევანის | 1 „ | | 2 კაპ. |
| „ | ყირიმის | 1 „ | | $2^1/_4$ კაპ. |
| 4) ნავთი | | 1 „ | | $3^3/_4$ კაპ. |

2. უმაღლესი ფასები სავალდებულოა, როგორც სახელმწიფო და კოოპერატიულ დაწესებულებათათვის აგრეთვე კერძო სავაჭრო წარმოებათათვის.

3. ცალობრივ ვაჭრობაში ფასების დაკლება გავრცელდეს სხვა საქონელზედაც არა ნაკლებ 15 პროც. რაოდენობისა ა/წ. 7 აპრილის [illegible]

4. ფასების დამკლებ კომისიას ევალება სასტიკი თვალყური ადევნოს ამ დადგენილების ცხოვრებაში გატარებას.

5. ამა დადგენილების დამრღვევნი დაპატიმრებულნი იქნებიან 2 თვემდე ან და დაჯარიმებული 15 ჩერვონცამდე.

თბილისის საბჭოს თავმჯდომარე: **ლ. სუხიშვილი.**

ფასების დამკლებ კომისიის თავმჯდომარე, აღმასკომის პრეზიდიუმის წევრი: **ივანოვ-კავკასიელი.**

მდივანი: **თიკანაძე.**

## სასოფლო-სამეურნეო კოოპერაცია და მისი მნიშვნელობა.

საბჭოთა ხელისუფლების თანამედროვე სახელმწიფოებრივი ეკონომიური პოლიტიკა ხასიათდება შედარებით ადდგენილ სახალხო მეურნეობის გაძლიერებისაკენ სწრაფვით, რასაც უკვე მოყვა მნიშვნელოვანი შედეგები. საქალაქო მრეწველობა წელში გამართული და ტრესტებათ ჩამოყალიბებული უდიდეს ფაქტორის როლს თამაშობს ჩვენ სახალხო მეურნეობაში.

სახალხო მეურნეობის მეორე მნიშვნელოვანი ფაქტორი კი სასოფლო მეურნეობა, მისი დაქსაქსულობის გამო მოკლებული არის ორგანიზაციულ სახეს. მას სჯობნის ქალაქი თავისი ორგანიზაციულობით, და სოფლის მეურნე, გამოსული ბაზარზე თავის პროდუქტის გასაღებისათვის სრულიად ემორჩილება ქალაქის მიერ წამოყენებულ ფასს.

და აქ სწორედ ნათელსაყოფად იზრდება სოფლის მეურნეობის ორგანიზაციაში ჩამოყალიბების მნიშვნელობა. რათა მეურნეობის პროდუქტი ნაკლებად გახდეს კონკურენტის და ბაზრის ფასის მსხვერპლი.

სასოფლო მეურნეობის გადამრჩენელის როლი უნდა ითამაშოს სასოფლო სამეურნეო კოოპერაციამ.

კოოპერაცია,—ზოგად მნიშვნელობით წარმოადგენს, რამოდენიმე ეკონომიურად სუსტ პირთა შეერთებას, სამეურნეო მიზნების მისაღწევად; ან საკუთარ ძალებით კოოპერაციაში იმ მოქმედების გასაწევად, რომელსაც ისინი სხვისი მეშვეობით სჩადიოდენ.

გავეცნოთ სასოფლო სამეურნეო კოოპერაციის მოკლე ისტორიას და მნიშვნელობას დასავლეთ ევროპაში.

მეცხრამეტე საუკუნის 60 წლებში პირველი ცდა სასოფლო სამეურნეო კოოპერაციისა მოხდა გერმანიაში.

მას მიზნათ ქონდა წვრილ მევენახეთა უზრუნველყოფა სესხით, ინვენტარით და სხვა.

ს. ს. კოოპერაციის მნიშვნელობა გერმანიაში იმდენად გაიზარდა, რომ 1914 წ. ის წარმოადგენდა შემდეგ სურათს:

გამსესხებელი ამხანაგობა 17.488,

სავაჭრო ამხანაგობა 2.697.

რძის პროდუქტების დამზადებელი 3.544.

სხვა გვარი კოოპერატივები 4.100.

ცენტრალური ორგანიზაცია 98.

თუ რამდენად ხშირია კოოპერატიულ ორგანიზაციის ბადე გერმანიაში შეგვიძლია წარმოვიდგინოთ შემდეგი ციფრებიდან.

ერთ ამხანაგობა მოდის 2890 სულზე.

ერთი ამხანაგობაზე მოდის 1500 დესიატ. ასეთივე ხასიათი აქვს სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციას დანიაში, საფრანგეთში და სხვაგანაც.

დანიაში, მაგალითად, რძის გადამუშავების საქმე 80 პროც. აწარმოებს კოოპერატიული ორგანიზაციები.

მერძეობის ფერმები, ჩამოყალიბებული კოოპერატიულ ორგანიზაციებში აუმჯობესებენ, საერთო ძალღონით საქონლის ჯიშს, რაციონალიზაციას უშვებიან მერძეობისაგან ანარჩენ პროდუქტებს, სახლდობრ, ღორების გასუქების საქმეში.

საფრანგეთში, მეურნეობაში მწარმოებელთა ამხანაგობების სწრაფი ზრდის გამო, შესაძლებელი შეიქნა მათი სინდიკატის ჩამოყალიბება. მაგ. ზეთის წარმოების სინდიკატი საფრანგეთში, ყოველ ღონისძიებას ხმარობდა, რათა ხელი შეეწყო ზეთის დამზადების განვითარებისა და გაუმჯობეს ბოლ ტეხნიკით წარმოებისათვის. მან გახსნა საკუთარი ლაბორატორია, იძენდა თავის წევრებისათვის იარაღებს და სხვა საჭირო მასალას; ზეთის მასიურად გასაღებ-სათვის ეწეოდა პროპაგანდას.

უკანასკნელად ეს სინდიკატი იმდენად გაძლიერდა, რომ შეიძინა თვალსაჩინო რიცხვი საყინულე ვაგონებისა (вагоны холодильники), რომლის საშვალებით ახლად დამზადებული ზეთი პროვინციიდან უშუალოდ გამოქონდათ პარიზის ბაზარზე.

მეხილეობა, მებაღეობა, მებოსტნეობა აგრეთვე მოიქცა კოოპერატივების გავლენის ქვეშ.

საქართველოში კოოპერატიული მოძრაობა დაიწყო გასულ საუკუნის 80 წ.წ. მაგრამ ძალიან ცოტა ხანს იარსება. კოოპერაციამ ჩქარი სვლა ჩვენში მხოლოდ 1905 წ. დაიწყო ჟურნალ „კოოპერაციის მოამბის“ ცნობებით 1909 წ. ა. საქართველოში ირიცხებოდა მომხმარებელი საზოგადოება 12 ქუთაისის გუბერნიაში. და 6 ტფილისის გუბერნიაში.

1914 წ. ირიცხებოდა 100-დე კოოპერატიული ორგანიზაციები. რაც შეეხება სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციას ჯერ კიდევ იმყოფება „ჩანასახობის“ მდგომარეობაში. ჩვენში ასეთი კოოპერატივები ჩამოითვლება სულ ათამდე, რომელთა შორის უფრო საყურადღებოა საზოგადოება „კახეთი“.

და „ცეკავშირის“ წარმოებათა შორის საპნის და ძეხვების ქარხნები, კონსერვის ფაბრიკები (გორში) მექანიკური სახელოსნოები და სხვა.

სახალხო მეურნეობის თანამედროვე ხანაში, როდესაც მსხვილი კაპიტალისტებიც კოლექტიურად მოქმედობენ, ყალიბდებიან კარტელებით ტრესტებით, სინდიკატებით, რათა მეტი ინტენსიობით მოქმედობდეს კაპიტალი: უფრო სუსტი მეურნე უნდა გაჰყვეს კოლექტივიზაციის გზას, მიიღოს მონაწილეობა სასოფლო სამეურნეო კოოპერატივებში, და მით გააძლიეროს, უფრო ინტენსიური გახადოს თავის მეურნეობა.

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის ყოველი წევრი, უზრუნველყოფილია სესხით, საქონლის დაზღვევით (რომლის შესახებ ცალკე გვექნება ბაასი) და დამზადებულ პროდუქტის ხელსაყრელ ფასებში გაყიდვით.

ჩვენი წითელ არმიელი, როდესაც დაუბრუნდება, თავის სახლს, თავის მეურნეობას აქტიური პროპაგანდა უნდა გასწიოს, რათა რაც შეიძლება მალე მოეწყოს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივები, და მისი სახალხო მეურნეობის მნიშვნელოვანი ელემენტი სოფლის მეურნეობა ინტენსიფიკაციით წავიდეს წინ.

# საერთაშორისო მდგომარეობა და საბჭოთა კავშირი.

## ამხ. ტროცკის მოხსენება თბილისის საბჭოს საგანგებო სხდომაზე).

### სამი მომენტი.

(გაგრძელება).

მაკდონალდმა აიღო ხელში ძალაუფლება, მაგრამ მას არ აქვს თავისუფალი მოქმედების საშუალება— მარჯვენა ფეხით უნდა წაიბორძიკოს კონსერვატორებზე, მარცხენათი კი —ლიბერალებზე.

მაკდონალდს აქვს გამოსავალი. მას რომ მოეხდინა მადაროების, მსვილი მრეწველობის ექსპროპრიაცია, მოეხდინა მას,—თუ ამის თქმის ნებას დამრთავს ამხ. ჩიჩერინი,—მეფის გვარეულობის ექსპროპრიაცია, და მართლა დროა ამ დახავსებული ნაშთის ექსპროპრიაციის, მაშინ ინგლისის ყველა მუშები მის მხარეზე იქნებიან; რომ მას გარდა ამისა ეთქვა, რომ დროა გავხვეტოთ მაგარი ცოცხით საშუალო საუკუნოების ნაშთების საკრებულო— ლორდთა პალატა, რომ გამოეცხადებინა ბანკების ნაციონალიზაცია, — ინგლისის ბანკებში ცოტა მეტს ნახავდენ ვიდრე ჩვენ ჩვენს ბანკებში ვნახეთ,— მაშინ ის იქნებოდა თავისი ქვეყნის ბატონ-პატრონი, რადგან ინგლისში მუშები მცხოვრებთა ცხრა მეათედს შეადგენენ. მას რომ ეს ექნა, ინგლისს ორ კვირაში ვერ ვიცნობდით.

ინგლისის ბურჟუაზიამ თავისი ბატონობის დასაცავად 100 სხვა და სხვა გვარი ეკლესია შექმნა. ეს მისი ხელობაა.

აკი თვით ლოიდ-ჯორჯმა განაცხადა, რომ ეკლესია ცენტრალური ელექტრო-სადგურია ყველა პოლიტიკურ პარტიებისათვის.

თვით მაკდონალდი შოტლანდიის პურიტანულ ეკლესიას ეკუთვნის, ხოლო მისი მეგობარი და მარჯვენა ხელი, შინაგან საქმეთა მინისტრი ჰენდერსონი, ერთ-ერთი საეკლესიო საზოგადოების თავმჯდომარეა.

იქ დაუშვებელია ატეისტობა, ურწმუნოება, თვით დარვინი, ეს მარქსი ბიოლოგიაში, ვერ ბედავდა თქმას, რომ ის ატეისტი იყო.

1902 წელში მე და ილიჩი ვიყავით ლონდონში ერთ მიტინგზე, რომელზედაც მაშინდელი დროის მიხედვით საკმაო რევოლიუციონურ სიტყვას ამბობდა ვიღაც ავსტრალიიდან დაბრუნებული ინგლისელი მუშა. სიტყვის დასრულების შემდეგ აუდიტორიამ, რომელიც შეკრებილი იყო ეკლესიაში, იგალობა ჰიმნი, რომლის აზრი ასეთი იყო: ღმერთო, გვიშველე გაჭირვებიდან. მოსპე მდიდარი და ღარიბიო. (სიცილი). ეს ფაქტი დამახასიათებელია ინგლისელი მასების სულისკვეთების გამოსახატავად.

მაკდონალდი აცხადებს, რომ ის განაგრძობს ძველი მთავრობის პოლიტიკას, მან დაამტკიცა 5 ახალი კრეისერის აგების გეგმა, მუშათა მთავრობა ანხორციელებს კონსერვატორების მთავრობის სამხედრო საჰაერო შეიარაღების გეგმას.

მაკდონალდმა წერილი მისწერა პუანკარეს, რომ ინგლის-საფრანგეთის კავშირი ევროპაში მშვიდობიანობის ფუძეაო.

განა ინგლისის მუშათა მთავრობას არ შეეძლო სხვა მოკავშირის არჩევა საბჭოთა კავშირის მშრომელთა სახით?

მაკდონალდმა ჩვენ კი არა, საფრანგეთის ბირჟას მიმართა.

ასეთია მენშევიზმი მოქმედებაში.

მაკდონალდი გამოდის, როგორც აგენტი მტაცებლური იმპერიალიზმის. არავინ არ სძაგთ ისე კოლონიებში, როგორც ინგლისელი მენშევიკები.

ოსმალეთის მთავრობამ გააუქმა ხალიფატი. ინგლისის მუშათა მთავრობამ აღადგინა ხალიფატი გეჯასში. გლადსტონი ველურებს უწოდებდა ოსმალებს, ინგლისის მუშათა მთავრობა კი სუბსიდიებს აძლევს გეჯასის ხალიფს ჰარამხანისათვის (гарем); ამას მოითხოვს ხალიფის პოსტი იმის ნაცვლად, რომ ეს ფულები მუშებს მოახმარონ.

### ჩვენი მოლაპარაკება ინგლისთან.

როგორია ჩვენი ინგლისთან მოლაპარაკების ბედი?

მე მიძნელდება თუგინდ დაახლოებითი პასუხის გაცემა ამ კითხვაზე.

აქ უნდა აღვნიშნო მეორე შეცდომა გაზეთის მიერ ჩემი ინტერვიუს გადმოცემაში.

მე თითქო ვთქვი, რომ ამ მოლაპარაკებით ჩვენ გვსურს ჩამოვაგდოთ ინგლისის მუშათა მთავრობა.

მე ეს არ მითქვამს და ვერც ვიტყოდი. მე რომ მაკდონალდის ადგილას ვიყო, რაც, ვსთქვათ, არასოდეს არ მოხდება, ასეთი ინტერვიუსათვის არავის მადლობას არ ვეტყოდი, მაგრამ ახლაც, თავის ადგილზე მყოფიც, ვერ ვეტყვი მადლობას ამისთვის.

ინგლისის მუშათა კლასს ვერავინ ვერ მისცემს იმდენს, რამდენსაც ჩვენ მივცემდით, ჩვენ შევამცირებთ უმუშევრობას, გავასაღებთ ინგლისის საქონელს. ამისათვის ჩვენ უნდა მოგვცენ სესხი.

ჩვენ თუ არ ვიხდით ძველ ვალებს, ეს იმიტომ, რომ როდის იყო სადრჩობელიდან ჩამოვარდნილი იხდიდა ჩამოსახრჩობი თოკის ფასს (ტაში).

ჩვენ ჩვენს ვალდებულებას ვასრულებთ.

ჯერ კიდევ 1905 წელს ჩვენ პირობა დავდევით, რომ არ გადავიხდით, მეფის ვალებს და ამ პირობას ვასრულებთ (ტაში).

ჩვენ გადავიხდით. ჩვენ ვამბობთ, რომ გაძლევთ მანამდი, სანამ თქვენ გითმენენ, როცა თქვენ ჩამოგაგდებენ, მაშინ სხვას მოველაპარაკებით.

რასაკვირველია, ჩვენ არ ვფიქრობთ ინგლისის მუშათა მთავრობის ჩამოგდებას, მაგრამ რომ მას ჩამოაგდებს ინგლისის ბურჟუაზია—ეს ჩემთვის სავსებით ნათელია.

ბურჟუაზია მას აჯახებს მუშებს. პარლამენტში ის უმცირესობაში, რჩება, მას სახელი უტყდება მუშათა კლასის თვალში და მუშა იტყვის: რატომ მივიღო მაკდონალდიდან ის, რის მიღება ლიბერალებიდანაც შემიძლიაო.

აქედან კი დასკვნა: მუშების შეძლებული ნაწილი მომავალ არჩევნებში ხმას მისცემს ლიბერალებს. დანარჩენი მარცხნით წავა.

ინგლისში მენშევიკების ბატონობა გააძლიერებს მუშათა მასებში მემარცხენე ფრთას.

მაკდონალდი ჩვენს სასარგებლოთ მუშაობს. მის მთავრობას სახელს უტეხენ, ააშკარავებენ მის უძლურებას.

### ჩვენი მდგომარეობა განმტკიცდა, მაგრამ მაინც ფხიზლად უნდა ვიყოთ.

ასეთია საერთაშორისო მდგომარეობის მთავარი მომენტები.

როგორ გავლენას ახდენს ეს ჩვენს საერთაშორისო მდგომარეობაზე.

ჩვენ გავძლიერდით. ჩვენ მივიღეთ ცნობა. მოულოდნელი ომის საფრთხე ჩვენ არ მოგველის და მაშასადამე ჩვენი საერთაშორისო მდგომარეობა განმტკიცდა.

არც მეტი, არც ნაკლები.

ბრძოლა გრძელდება, შური და მტრობა რჩება, მაგრამ დამოკიდებულება ჩვენდამი უფრო ფრთხილია, ცბიერი, ფარისევლური.

საფრანგეთს ჩვენ ჯერ არ უცვნივართ. ის ყველაზე ძლიერი სახელმწიფოა ევროპაში სამხედრო ძალებით.

ჩვენ არ უცვნივართ ამერიკის შეერთებულ შტატებს, რომელიც ყველაზე უმდიდრესი ქვეყანაა მთელს მსოფლიოში.

საფრანგეთი ეს არის ხიშტი, შეერთებული შტატები კი—ოქრო.

თქვენ გახსოვთ ალბათ პოეტის სიტყვები: Все куплю сказало злато, все возьму сказал булат.

ამ ორ ქვეყანას ჯერ არ უცვნივართ. საფრანგეთი, როგორც ვთქვი, ვაჭრულ შანტაჟს აწარმოებს ჩვენს მიმართ.

შეერთებული შტატები ინელებს იმ სიმდიდრეს, რომელიც ომის დროს შეიძინა.

შეერთებული შტატები ომში ჩაერია ვითომდა საკაცობრიო იდეალების დასაცავად. დემოკრატიის დასახმარებლად. თქვენ გახსოვთ ვილსონის პაციფიზმი, მისი ცნობილი თოთხმეტი მუხლი და სხვა მაღალი ფრაზები. ამ მშვენიერმა სიტყვებმა, რასაკვირველია არ შეუშალა ხელი, რომ ამერიკაში მოეყარა თავი მთელი ქვეყნის სიმდიდრეს.

### „ჰუმანიური“ სისხლის ღვრისათვის მზადება.

ახლა კი ამერიკა მხრჩოლავი გაზების უზარმაზარ ფაბრიკად გადაიქცა. ამერიკა ახლა უწყინარ დემოკრატიულ საქმიანობას ეწევა—ანვითარებს ომის ქიმიურ საშუალებებს. ამერიკელები ამბობენ: წარსული ომი ბარბაროსული საშუალებებით წარმოებდა, მომავალი ომი კი ჰუმანიური საშუალებებით უნდა ვაწარმოოთო. მათ მიერ გამოგონილი „ჰუმანიური“ ბრძოლის ერთი საშუალებათაგანი ასეთია; მხრჩოლავი გაზების ნაცვლად აეროპლანებიდან გადმოისვრიან „გამამხიარულებელი“ და დამაძინებული გაზით სავსე ბომბებს. ამნაირად ამ „გამამხიარულებელი“ გაზის საშუალებით მთელი რაიონების და ქალაქების „მიძინება“ შეიძლება.

სამხედრო ქიმია ორ ნაწილათ იყოფა: ასაფეთქებელი მასალების ქიმია და შხამიან ნივთიერებათა ქიმია. მე არ ვიცი, თუ რომელია ამ საშუალებათაგანი უფრო „ჰუმანიური“. ჩვენ ვიცით, რომ ომი საერთოდ არის უდიდესი ბარბაროსობა, მაგრამ ჩვენ მაინც ვიტყვით—კბილი კბილის წილ, გაზი გაზისათვის (ტაში) და ეს არის უმაღლესი ჰუმანიურობა, რევოლიუციონური ულმობლობა.

ჩვენ არ უცვნივართ ამერიკას, საფრანგეთი, რომელიც ლმობიერი კილოთი გველაპარაკება, ვაჭრულ შანტაჟს ეწევა ჩვენს მიმართ, რუმინეთთან მოლაპარაკება ჩაიშალა, ინგლისის მუშათა მთავრობა, რომელმაც გვიცნო ჩვენ, განაგრძობს ინგლისის ძველი მთავრობის შეიარაღების პოლიტიკას.

რა დასკვნა უნდა გამოვიტანოთ აქედან?

ის დასკვნა, რომ ჩვენი მდგომარეობა განმტკიცდა, მაგრამ საფრთხე არ შემცირებულა.

აი რატომ უნდა გავამაგროთ ჩვენ წითელი არმია.

ევროპის ბურჟუაზიას საშინელი საფთხე მოელოდა იმპერიალისტური ომის დასასრულში.

### ჩვენი უპირატესობა.

1918—19 წლებში ჩვენ რევოლიუციას მოველოდით ევროპაში.

მაგრამ რევოლიუციის განვითარების ტემპი ჩვენ ვერ შევაფასეთ სისწორით.

რევოლიუციისათვის იქ იყო პირობები. მუშები და გლეხები გაბოროტებული ბრუნდებოდენ სახლში.

მაგრამ არ იყო იქ ბოლშევიკური პარტია.

ევროპის ბურჟუაზიას თითქო სული უნდა განეტოვებია, მაგრამ ის ფეხზე წამოდგა, მაგრამ მტკიცედ ვერ დგას ფეხებზე.

ჩვენ გერმანიაში მოველოდით ბურჟუაზიის დამარცხებას, რევოლიუციის გამარჯვებას, მაგრამ გერმანიის კომპარტია თუმცა პატიოსანია, მაგრამ რომ ის არ იყო ფოლადის გამობრძმედილი ბოლშევიკური პარტია, აღჭურვილი ჩვენი პარტიის ყველა იმ თვისებებით, რომელიც ჩვენ პარტიას ჰქონდა, რომლის ღირსებას შეადგენს გამბედაობა—როცა ამას მოითხოვს საჭიროება, სასწორზე დადვას ყველაფერი ეს ჰქონდა და აქვს ჩვენს პარტიას. (ტაში).

### ჩვენ უნდა შევქმნათ საკუთარი ავიაცია და ქიმია.

ჩვენ ვცხოვრობთ ევროპის ბურჟუაზიის ავადმყოფობის პირველი და მეორე მძლავრი შეტევის მიჯნაზე. ბურჟუაზიული ორგანიზმი—ეს ძლიერი ორგანიზმია. მას თვით სულის ამოხდომის დროსაც, უკანასკნელი კონვულსიების დროსაც შეუძლია ზიანი მოგვაყენოს ჩვენ. ამიტომ ჩვენ ფხიზლად უნდა ვიყოთ.

რა უნდა ვაკეთოთ ჩვენ!

ჩვენი სიძლიერის მთავარი ფუძეა ჩვენი ქვეყნის სამეურნეო განვითარება, სოფლის მეურნეობის აღორძინება, ქალაქსა და სოფელს შორის, მუშებსა და გლეხებს შორის კავშირის გაძლიერება, ფინანსიურ დარგში მიღებულ შედეგების განსამტკიცებლად.

ჩვენ დიდ შედეგებს მივაღწიეთ. ჩვენ ჩვენი ქვეყნის სამეურნეო სხეული მკვდარი წერტილიდან დავსძარით, ჩვენი ქვეყნის საწარმოო ძალები იზრდებიან, სოფლის მეურნეობა აღორძინების გზაზეა. მაგრამ ეს არის პირველი საერთო ხასიათის წარმატებათა ჯამი, რომელიც დიდ ენერგიას და შრომას მოითხოვს იმისათვის, რომ ჩვენი სოციალისტური დაგროვება სიმდიდრისა სჭარბობდეს კაპიტალისტურ დაგროვებას ახალი ეკონომიური პოლიტიკის საფუძვლებზე.

### ჩვენ ძველი კომუნისტები ვართ.

ჩვენ დიდი გამოცდილება დავაგროვეთ ისე, რომ არ დაგვიკარგავს ჩვენი რევოლიუციონერობა და ჩვენ არავითარი ეჭვი არ გვეპარება იმაში, რომ შევინარჩუნებთ ძალაუფლებას და დაწყებულ საქმეს ბოლომდი მივიყვანთ.

სამეურნეო დარგში მიღებული წარმატებანი შეადგენენ წინაპირობებს ჩვენი წარმატებებისათვის სხვა დარგებშიც.

ეკონომიური ბრძოლა ამავე დროს არის პოლიტიკური ბრძოლა საერთაშორისო ბურჟუაზიის წინააღმდეგ. ეს არის საერთო ბრძოლის გამოხატულება. ბურჟუაზია იძულებულია იცნოს ჩვენი ხანგრძლივი არსებობის ფაქტი.

ჩვენ ვვაჭრობთ, მაგრამ არ დაგვიკარგავს რევოლიუციონერობის თუნდ მცირედი ნაწილიც კი.

უმნიშვნელოვანესი ფაქტი, რომელიც უნდა აღინიშნოს—ეს არის ახალი წევრების მიღება პარტიაში. მუშათა კლასი ნდობას უცხადებს კომპარტიას. მუშათა კლასმა იცის, რომ ჩვენი პარტია გაუძღვება მას. დასთმობს იქ, სადაც ეს საჭიროა, მაგრამ მთავარს კი არ დასთმობს არასოდეს. მუშების შემოსვლა ჩვენს პარტიაში არის ჩვენი სიძლიერის, მომავალი წინსვლისა და გამარჯვების გარანტია.

მაგრამ რადგან ჩვენ ჯერ კიდევ არ უცვნივართ ყველას, რადგან შეიარაღების პოლიტიკა კვლავ გრძელდება, ჩვენ უნდა ვიყოთ ძლიერი სამხედრო მხრივაც.

ჩვენ გვესაჭიროება ძლიერი სამხედრო ავიაცია, სამოქალაქო ავიაციასთან ერთად.

ჩვენ გვინდა დავიცვათ ჩვენი ქალაქები „გამამხიარულებელი“, დამაძინებელი, განმანადგურებელი, „ჰუმანიური“ გაზებისაგან. ჩვენ უნდა შევქმნათ საჰაერო სამხედრო რაზმები საბჭოთა ქვეყნის საზღვრების დასაცავად.

თუ ავიაციას აქვს ქიმია, ის არის ძლიერი. ჩვენ გვესაჭიროება ავიაცია, გამრავლებული ქიმიაზე. თუ ბურჟუაზიას აქვს ქიმია, ჩვენც გვექნება ქიმია. ეს საქმე უნდა გახდეს თითეული შეგნებული მუშისა და გლეხის საკუთარი საქმე. ჩვენ გვესაჭიროება საჰაერო ფლოტი, რომელიც უნდა უზრუნველვყოთ თავდასხმისა და თავდაცვის ყველა საშუალებებით. ჩვენ ღარიბი ვართ, მაგრამ ჩვენ გვაქვს ნებისყოფა გამარჯვებისაკენ. (მქუხარე ტაში).

ომი არის მორალური ძალა ტეხნიკაზე გამრავლებული.

არც ერთ მთავრობას არ შეუძლია გადადგას ისეთი ნაბიჯი, როგორიც ჩვენ.

### გაბედონ ჩვენი წაბაძვა.

ჩვენ გავაფართოვეთ საბჭოთა ბელორუსიის საზღვრები. რას ნიშნავს ეს? ეს ნიშნავს იმას, რომ ბელორუსიას საშუალება მიეცა იცხოვროს თავის საკუთარ რესპუბლიკის საზღვრებში. ბელორუსიის საზღვრებში ეხლა ოთხი მილიონი ბელორუსი ცხოვრობს,

რას ნიშნავს ეს სამხედრო მხრივ? სამხედრო მხრივ ეს ნიშნავს წითელი არმიის სამ ახალ კორპუსს.

თქვენ, ამხანაგებო, შესაძლებელია საყვედური მითხრათ, რომ მე ვამჟღავნებ სამხედრო საიდუმლოს, ვახარებ პოლონეთს, მაგრამ, ამხანაგებო, აბა იქ, პოლონეთში კარგი ქნან და წაგვბაძონ ჩვენ! (ტაში)

ჩვენ შემოვიღეთ ტერიტორიალური სისტემა წითელი ჯარის მშენებლობაში, ჩვენ გადავდივართ სამილიციო სისტემაზე.

ვის შეუძლია ეს ქნას? არავის, მხოლოდ ჩვენ. ვერც ერთი ბურჟუაზიული სახელმწიფო ვერ გაბედავს სამილიციო სისტემაზე გადასვლას.

ბურჟუაზიამ არ იცის, თუ როგორ მოიქცევიან მისი ჯარისკაცები

და მეზღვაურები ომის დროს, ჩვენ კი ვიცით, თუ როგორ მოიქცევიან ჩვენი წითელ-არმიელები და წითელი მეზღვაურები (მქუხარე ტაში)

ჩვენ ვსწავლობთ, ჩვენ ვეჩვევით ვაჭრობას, მაგრამ ჩვენს რევოლიუციონურ სულს არ ვყიდით, დიახ, არ გავყიდით.

ჩვენ ისეთივე დავრჩით, როგორიც ვიყავით ღამით 1917 წლის 24-დან 25 ოქტომბერზე.

**ჩვენ მზად ვართ ახალი ბრძოლებისათვის,**

ჩვენს ეკონომიურ, კულტურულ თუ სხვა მუშაობაში ჩვენ იქ თკენ გვიჭირავს გეზი, რომ მზად ვიყოთ იმ შემთხვევისათვის, თუ ბურჟუაზია შესძლებს კიდევ რამდენიმე ხნით შეინარჩუნოს ძალაუფლება.

მაგრამ, რომ ხვალ ევროპაში რევოლიუციონური ქარიშხალი ამოვარდეს და ევროპის მუშათა კლასმა მუდარის, თვალით გამოიხედოს სულ ერთია საით—მოსკოვისკენ თუ თბილისისკენ, ჩვენ გვ ახავს ის ძველ, ფოლად სებუი მებრძოლებათ, ლენინებათ, რომლებიც მზად არიან იბრძოლონ, როცა ეს საჭიროა.

ორკესტრი უკრავს ინტერნაციონალს:

პროლეტარიატის გამარჯვების ჰანგებს უერთდება მქუხარე ტაში, ვაშას ძახილი და კიჟინა ქანდარებიდან და დარბაზიდან:

სალამი ტროცკის!

სალამი წითელი არმიის უდიდეს ბელადს!

სალამი პროლეტარიატის სახელოვან ხელმძღვანელს!

ამხ. ტროცკის მოხსენების გამო რეზოლიუციის შედგენა ევალება პრეზიდიუმს.

## ამხ. ლ. დ. ტროცკი ტფილისში.

(შთაბეჭდილებანი).

**შაბათი, 12 აპრილი.**

თბილისი საგაზაფხულო მწვანე ხავერდის ქათიბით,—წითელი დროშები ათამაშებულნი მოსალბუნე სიოს კოცნით.

თბილისი თორმეტ აპრილით ახალ ლეგენდებს ჰქმნის მარადიულ ყვავილისას. ლევ ტროცკი თბილისში!

არა მგონია იყოს ვინმე ისეთი, ვისაც ამ დღეს არ ეგრძნო უდიდესი ნეტარება, როდესაც უყურებდა იმ კაცს, რომელიც იყო ძვირფას ლენინის მარჯვენა ხელი. გარდა მუშების, რომელნიც მუშაობენ ამ დილას და თავიანთ უბანში მოელიან საყვარელ ბელადს,—ყველა ქუჩებშია გამოფენილი.

თავისუფლების მოედნიდან დაწყებული მთელი რუსთაველის პროსპექტი სავსეა მოქალაქეებით, მოწაფეებით, კომუნისტურ უნივერსიტეტის სტუდენტებით, „სპარტაკელებით" და წითელი ლაშქარის რუსული და ქართული ნაწილებით.

გაისმის მუსიკა და გაჰკივიან ავტომობილები; ცხენოსანი და ქვეითი მილიცია იცავს წესიერებას, ყველას უნდა ნახოს ის ადამიანი, რომელმაც ლენინთან ერთად შეარყია ქვეყნიერება.

თავისუფლების მოედნის მხრით მოისმის: „ურა!", „ვაშა!", ტაში, მუსიკის გრიალი...

— მოდის!

სახე უნათდება ყველას.

საყვარელ ბელადს გვერდს უმშვენებენ ამხ. ამხ. ორჯონიკიძე, ელიავა, ეგოროვი, მიასნიკოვი, ლევქთაძე და ბევრი სხვა ძვირფასი ამხანაგები.

მოდის ბელადი მტკიცე ნაბიჯით და ფოლადის სახით.

მოდის დიადი კომუნარი და სახე ნათელი ათვალიერებს წითელ ლაშქარს, იმ ლაშქარს, რომელსაც მან ჩაუყარა საძირკველი და ასწავლა ძლევამოსილი წინსვლა, ასწავლა მხოლოდ გამარჯვებები.

ძვირფასი წინამძღოლი ნეტარებით ალვ ილი ათვალიერებს ყველას.

ბელადი კი ათვალიერებს წითელი ჯარის რიგებს და უნდა გენახათ, როდესაც ქართულ ნაციონალურ ნაწილს ჩაუარა! ყველა ატყობს, მის სახეზე სიხარულს.

იგი ველარ მალავს ამ სიყვარულს და იძახის—გამარჯვებათ ამხანაგებო!

—რომელსაც ჰფარავს ჩვენი მხედრობის ფრთა აწყვეტილი „ვაშა".

აგერა ტაშის, „ვაშას" და მუსიკის გრიალში სასახლეს უახლოვდება, სადაც ქართული ცხენოსანი ლეგიონი სდგას, რომელიც, ეტყობა, დიდ სასიხარულო შთაბეჭდილებას სტოვებს მისზე და გაისმის მისი მკვეთრი ხმა, კვლავ ქართულად:

—გაუმარჯოს თავისუფალ საქართველოს წითელ ლაშქარს!..

და ასე ადის რუსთაველის პროსპექტის ბოლომდის, სადაც თავდება ბოლო ლაშქრის რიგები; იქიდან კი ავტომობილით უკანვე ბრუნდება.

ხალხი ხვდება ტაშით, ქუდების ქნევით და ძახილით:

—გაუმარჯოს მსოფლიო პროლეტარიატის ბელადს და წითელი არმიის სულს!

თავისუფლების მოედანზე ალმართულ ესტრადზე ადის და სჭექს; მისი ხმა ურაგანივით აზანზარებს ყველას სმენას, თომელიც ძალიან შორს ისმის.

მრავალ ათასიან ლაშქრის და მოქალაქეთა მხურვალე ამოძახილები, ტაში, მუსიკა...

ბოლოს, პუშკინის ქუჩაზე იჭერს საგანგებოდ გამზადებულ ადგილს და ძვირფას მეგობართა შორის მოღიმარე სახით უყურებს საპატივცემლოდ გავლილ ჯარს, სტუდენტობას, ბავშებს.

ყველას ესალმება. რუსულ ნაწილებს რუსულად, ქართულ ნაწილებს ქართულად, აქვე ესალმებიან სერგო ორჯონიკიძე და ეგოროვი, რომელიც ქართულად მიმართავს ჩვენს ნაწილებს:—გაუმარჯოს წითელ არმიას!

ტროცკი კი ხშირად იმეორებს ქართულად მისალმებას და აქაც კიდევ ერთხელ ამტკიცებს თავისი ცოცხალი მოძრაობით და ღიმილით სიმპატიას ქართულ ჯარისადმი.

აი მოახლოვდა სტუდენტობა და მიმართავს:

- გაუმარჯოს წითელ სტუდენტობას!

გამოჩნდენ ბავშვები ეს კომუნის ყვავილები და იმედნი მომავალისა. აქ კი ტროცკი თავს ველარ იმაგრებს, იძახის ქართულად:

— გაუმარჯოს წითელ ბავშვებს, იხდის ქუდს, იხრება მიმავალ ბავშვებზე და ესალმება.

— გაუმარჯოს ძვირფას ტროცკის —გაისმის ნაზი, სიყვარულით აკანკალებული ხმა ბავშთა.

ბელადს აცილებენ აუწერელ ოვაციებით, სასახლისკენ.

ხალხი ახლა სასახლეს არ შორდება, უნდათ ერთხელ კიდევ ნახონ ეს საყვარელი ადამიანი.

ბავშვები კი კვლავ იხმობენ, რათა გამოვიდეს და ეჩვენოს.

ცოტა ხნის შემდეგ გამოდის. ტაშის და „ვაშას" გრიალში აგუგუნდენ ავტომობილები. ბელადი მიდის ნაძალადევში, სადაც ელიან მადლიერი მუშები საყვარელ წინამძღოლს.

**სანი.**




**ჩვენი სამხედრო პოლიტ-სკოლის ცხოვრებიდან.**

გაზაფხულის მზიანი დღეა. ჩვენს პოლიტ-სკოლის ეზოში შეკრებილან კურსანტები და ბაასობენ სხვა და სხვა—საზღ მწიფოების მდგომარეობაზე ზოგი კი კედლის ჩრდილში გაზეთით ხელში ზის და ათვალიერებს მას ზოგი საამური რევოლიუციონური სიმღერით ატკბობენ არემარეს. მოულოდნელად შემოდის ეზოში პრაქტიკულ მეცადინეობის ხელმძღვანელი კოლეგიის წევრი და გვეუბნება. ამხანაგებო, ეხლა უკვე საჭიროა ჩვენი განვლილ გაკვეთილებს განმეორება, ვინაიდან ამ მოკლე ხანში დაიწყება ადგილობრივ კომისიის მიერ გამოცდები და თუ ვერ ჩავაბარეთ როგორც რიგი და წესია, შეიძლება შვებულებაში არ გაგვიშვან.

ამის გაგონებაზე ყველა იქ მდგომი კურსანტები დაიძრენ სკოლისაკენ.

მეცადინეობის ხელმძღვანელი დაჯდა თავის ალაგზე და იწყებს შეკითხვებს:, რასაც მოყვა კურსანტებიდან დამაკმაყოფილებელი პასუხი.

ამის შემდეგ გაიმართა ბაასი სხვა და სხვა კითხვებზედ, უკვე სადილობამ მოატანა. გაისმის მორიგის ხმა „აბა ამხ. დადექით რიგში სადილისთვის" ყველანი როგორც ერთი მწკრივად გაეშურენ სასადილოში.

**ლექავა.**

## ჩვენი კედლის გაზეთები.

კედლის გაზეთს დიდი შრომა და ხარჯი სჭირდება. ძალიან მაგარი ნებისყოფის პიროვნება უნდა, რომ ერთმა კაცმა მუდმივად შესძლოს კედლის გაზეთის ხელმძღვანელობა.

თითქმის 1 წელია რაც საარტილერიო დივიზიონის მასშტაბით გამოდიოდა კედლის გაზეთი „პანორამა". მას ყავდა ნიჭიერი მხატვარი მეთაური ამხ. ცეკვავა. „პანორამას" დიდი ღვაწლი მიუძღვის საარტილერიო დივიზიონის ცხოვრებაში. „პანორამა"-მ შეაყვარა ყველა ბატარეებს თავი და აღუძრა მათაც სურვილი გამოეცათ ბატარეების მასშტაბით კედლის გაზეთები. ინიციატივა დაიწყო მესამე ბატარეიდან, მას მიბაძეს 1-ლმა და მეორემ.

დღეს ჩვენ ბატარეების წითელ კუთხეებს ამშვენებს წითელ არმიელთა შემოქმედება, რომელიც თავმოყრილია კედლის გაზეთებში.

მათში ასახულია ბატარეების ყოფა ცხოვრება. ნაწერი ლამაზათ არის შესრულებული, მხოლოდ ეტყობა ნაკლიც, რაიც გამოიხატება ენის სისუსტეში. მაგრამ უნდა ითქვას, რომ ესეც დიდი მიღწევაა ბატარეების ცხოვრებაში. ვისაც ახსოვს, წითელ არმიელის ფურცლებზე იყო აღნიშნული ამხ. ა. კოპალიანი, რომელსაც კლასიკური ცოდნა არ მიუღია, მაგრამ უხვად არის დაჯილდოებული მხატვრული ნიჭით.

სამივე ბატარეების კედლის გაზეთების მხატვრობა და ტეხნიკური მუშაობა ეკუთვნის ამხ. კოპალიანს. მის ნიჭს აუცილებლათ უნდა გასწორება, რომლის შემდეგ წითელი არმია მიიღებს მის წიაღიდან აღმოცენებულ პროლეტარულ მხატვარს. აღნიშნული ბატარეიის პოლიტხელმძღვანელების ღირსია კედლის გაზეთების გამოშვებისათვის და სასიამოვნო იქნებოდა, რომ არ შესწყვეტდენ დაწყებულ საქმეს, ამხ. ა. კოპალიანს აღმოუჩინდენ სახსარს მუშაობისას, რომლითაც პირველობას დაიჭერს მათი ბატარეები.

**დ. კოხნარელი.**

# ყაზარმული ცხოვრება

**მე 3-მ ლეგიონი.**

1924 წელს 27 მარტს მოხდა მე-3-მე ლეგიონის 1-ლი კომუჯრედის ღია საზეიმო კრება, რომელსაც დაესწრო პარტ. წევრები 3. კანდიდატები 11. კომკავშირის წევრები 6. და უპარტიო წითელ არმიელნი 52

დღის წესრიგში იდგა საკავშირო რესპუბლიკების საგარეო და საშინაო მდგომარეობა, „მაკრატელის" პრობლემა, და რა უნდა გააკეთონ უვადო შვებულებაში მიმავალ წითელ არმიელებმა სოფლად.

მოხსენებას აკეთებს ამხანაგი ბოკუჩავა. კომუჯრედის მდივანმა, მკაფიოთ გააშუქა ს.ს.რ. საგარეო და საშინაო მდგომარეობა, „მაკრატლის" პრობლემა და რა უნდა გააკეთოს უვადო შვებულებაში მიმავალ წითელ არმიელებმა სოფლად, რის შემდეგ იქმნა გამოტანილი შემდეგი რეზოლიუცია.

მოვისმინეთ რა მოხსენება ამხ. ბოკუჩავასი, ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ საბჭოთა ხელისუფლება არის ნამდვილი დამცველი მსოფლიო მუშათა კლასის და უღარიბესი გლეხობის, მას მიყავს მუშათა კლასი კაპიტალისტების ბრჭყალებიდან განთავისუფლების გზაზედ. უსურვებთ საბჭოთა ხელისუფლებას მედგრად დგომას მთელ მსოფლიოს ჩაგრულთა დაცვის სადარაჯოზე და ჩვენ სახლში მიმავალი წითელ არმიელები ფიცსა ვსდებთ საბჭოთა ხელისუფლების მუშების და გლეხების და ჩვენი გამწვრთნელ უფ. და პოლიტ-შემადგენლობის წინაშე, რომ არ დავივიწყებთ ჩვენ დავალებებს და მას შევასრულებთ სოფლად და ქალაქად.

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირს!

გაუმარჯოს მის ხელმძღვანელ კომუნისტურ პარტიას!

გაუმარჯოს წითელ არმიის ორგანიზატორს და ბელადს ამხ. ტროცკის!

**პარტკორი კაპიტალის მტერი.**

# ახალი ამბები.

— **ავტომობილების მოძრაობის შესახებ,** თფილისის აღმასკომმა დაადგინა დაიბეჭდოს სავალდებულო დადგენილება ავტომობილების მოძრაობის შესახებ, ქართულათ და რუსულათ და დაურიგდეს შოფერებს.

— **შავი ბირჟის მოსპობისათვის.** აღმასკომმა წინადადება მისცა მილიციის უფროსს მიიღოს ზომები შავი ბირჟის მოსასპობათ და ვალიუტით მოვაჭრეების წინააღმდეგ.

— **სახალხო წიგნები.** პოლიტ-განათლების განყოფილებამ შუამდგომლობა აღძრა ქალ. აღმასკომის წინაშე 3000 მანეთის გადადების შესახებ სახალხო წიგნების გამოსაცემათ.

— **სახელის შეცვლა.** ქუთაისის სამაზრო აღმასკომის დადგენილებით ტყიბულის რაიონს ეწოდა ხრესილის რაიონი.

— **შეფობის ქვეშ აყვანა.** ფოთის ქალაქის აღმასკომმა თავის შეფობის ქვეშ აიყვანა ადგილობრივი ქართ. ლაშქრის ნაწილი.

— **ვერცხლის ფული ხმარებაში.** შემნახველ გამსესხებელი კასები მუშათა უბნებში დაიწყებენ დღეიდან თანხების გაცემას მუშებზე ნაწილობრივათ ვერცხლის ფულით.

— **სამუშაოზე გაგზავნა.** 12 აპრილს შრომის ბირჟამ გაგზავნა სამუშაოზე 61 უმუშევარი.

— **დაბადებულთა რიცხვი.** 1923 წლის განმავლობაში ტფილისში დაბადებულა 3.155 ბავში ე. ი. 813 მეტი 1922 წელთან შედარებით.

## ხელოვნება.

— **ენგელსის ძეგლი.** მოქანდაკე იაკობ ნიკოლაძემ დაასრულა ფრიდრიხ ენგელსის ძეგლი.

— **ახალი მუშათა თეატრი.** ქალაქის აღმასკომი შეუდგა ერმოლოვის ქუჩაზე ახალ მუშათა თეატრის აშენებას.

— **კაცია ადამიანი?** ილია ჭავჭავაძის მოთხრობა „კაცია ადამიანი"? გადააკეთეს საბავშო პიესათ, რომელსაც წარმოადგენენ საბავშო თეატრში

— **სეზონის დახურვა.** 30 აპრილს დასრულდება სახელმწიფო აკადემიური დრამის სეზონი რუსთაველის თეატრში.

**დღეს თეატრებში.**

— **ოპერა**—წარმოდგენა არაა.

— **დრამა**—გაახნაურებული მდაბიო.

— **სახ. სახლი**—რუსული წარმოდგენა.

— **ცირკი**—დიდი წარმოდგენა.

## ჩვენი ფოსტა.

**ამხ. მაისაიას.** თქვენი წერილი არ გავა. ის უფრო შეეფერება კედლის გაზეთს.

ნ. დ. ს. ც. ტირაჟი 800 სამხედრო სტამბა კეცხოველის ქ. 3. პასუხისმგებელი რედაქტორი ლ. ჩანტლაძე.